

**გუბერნატორების ადმინისტრაციების
ავტოპარკი და საწვავის ხარჯები
2017-2018 წლები**



Supported by

Luminate

Building stronger societies

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია **Luminate**-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და ანალიზში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს **Luminate**-ის პოზიციას.

სარჩევი

ძირითადი მიგნებები.....	3
შესავალი	4
გუბერნატორების ადმინისტრაციების ავტოპარკი	5
გუბერნატორების ადმინისტრაციების საწვავის მოხმარების ხარჯები	13
შეჯამება	21

ძირითადი მიგნებები

- 9 გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება 78 ავტომობილი, რომელთა 49% არის მაღალი გამავლობის, ხოლო 46% არის განპიროვნებული კონკრეტულ თანამდებობის პირზე ან თანამშრომელზე;
- ყველა სახელმწიფო გუბერნატორზე განპიროვნებულია TOYOTA LANDCRUISER-ის მოდელის ავტომობილი, რომელთა უმრავლესობა გუბერნატორის ადმინისტრაციებისათვის უსასყიდლოდ არის გადაცემული.
- გუბერნატორების ადმინისტრაციების ავტოპარკის 73% არ ყოფილა შეძენილი მათი ბიუჯეტის ფარგლებში და ისინი უსასყიდლოდ გადმოცემული იქნა სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ;
- 2015 წლის 21 აგვისტოს ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილემ რუსთავის მერს მიმართა თხოვნით, გადაეცათ ის ავტომობილი, რომელიც იმავე დღეს 71,373 ლარად იყო შესყიდული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან;
- 2017-2018 წლებში გუბერნატორების მიერ საწვავის ყოველთვიურ მოხმარებაზე დაწესებული ლიმიტები 700-დან 1,500 ლიტრამდე მერყეობდა;
- 2017-2018 წლებში 7 გუბერნატორის მიერ სულ დახარჯულია 132,208 ლიტრი საწვავი;
- 2018 წელს გურიის გუბერნატორების საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯები არ არის შესაბამისობაში მათ მიერვე გამოცემული სამართლებრივი აქტით დადგენილ ნორმასთან;
- 2017-2018 წლებში 7 გუბერნატორის მიერ დაფარულია 750 ათასი კილომეტრი. ისინი 2017 წელს საშუალოდ 52.5 ათას კილომეტრს ფარავდნენ, ხოლო 2018 წელს – 54.7 ათას კილომეტრს;
- თითოეული გუბერნატორის მიერ 2017-2018 წლებში გავლილი მანძილი მინიმუმ დედამიწის გარშემო ორჯერ შემოვლის ტოლია. სამეგრელო-ზემო სვანეთისა და სამცხე ჯავახეთის გუბერნატორზე განპიროვნებული ავტომობილებით განვლილი მანძილის მიხედვით, ბოლო ორი წლის განმავლობაში მათ დაახლოებით სამჯერ შემოუარეს დედამიწას.
- 2017-2018 წლებში გუბერნატორებზე განპიროვნებული ავტომობილები საშუალოდ ყოველდღიურად არასამუშაო დღეების ჩათვლით 150 კილომეტრს ფარავდნენ, ხოლო მხოლოდ სამუშაო დღეების დაანგარიშებით – 215 კილომეტრს.
- 2017-2018 წლებში გუბერნატორებზე განპიროვნებული ავტომობილების 100 კმ-ზე საშუალო წვის მაჩვენებელი 15 ლიტრიდან 19.83 ლიტრამდე მერყეობდა.

შესავალი

საჯარო დაწესებულებების ავტოპარკის პერიოდული განახლება და შენახვა მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვს, შესაბამისად, ამ ტიპის ბიუროკრატიული ხარჯების რაციონალური განკარგვა გარკვეულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. ამასთან, არსებული კვლევების მიხედვით¹, საქართველოში ჰაერის დაბინძურების მთავარი მიზეზი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოწვევებია. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თბილისში ჰაერის მდგომარეობის შესახებ თემატური მოკვლევის ფარგლებში შემუშავებული ერთ-ერთი რეკომენდაცია ითვალისწინებს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის სამთავრობო დონეზე შემცირებას და, უპირველესად, სახელმწიფო მოხელეების მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენების პრაქტიკის დანერგვას.

2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო საჯარო სექტორის ავტოპარკის ოპტიმიზაციის პროცესი. კერძოდ, სახელმწიფო ავტოპარკის ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით 2014 წლის 6 თებერვალს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება – „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“. დადგენილებამ განსაზღვრა ავტომობილთა ზღვრული ღირებულებები, თანამდებობის პირების ჩამონათვალი, რომლებსაც შეუძლიათ განპიროვნებული სახელმწიფო ავტომობილით სარგებლობა და ა.შ. ამ დადგენილების მოქმედების სფერო მოიცავს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს, რომელთა შორის, დადგენილების განმარტებით ვერ ვხვდებით სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებს (შემდგომში გუბერნატორის ადმინისტრაცია)². მიუხედავად იმისა, რომ გუბერნატორები საკუთარი საქმიანობით ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელნი არიან საქართველოს მთავრობის წინაშე,³ მათი ადმინისტრაციების ამ დადგენილების მოქმედების მიღმა დატოვება აძლევთ მათ მეტ თავისუფლებას ავტოპარკის განახლება/შენახვაზე ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანია ბოლო წლებში გუბერნატორების ადმინისტრაციების მიერ ავტოპარკის განახლება/შენახვის პრაქტიკის და საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯების ანალიზი. ამ მიზნით, IDFI-მ 2018 წლის მიწურულს და 2019 წლის აპრილში ყველა (9) გუბერნატორის ადმინისტრაციას მიმართა მათ ბალანსზე რიცხული ავტომობილების და 2017-2018 წლებში საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, IDFI-მ გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ავტომობილების განკარგვასთან (უსასყიდლოდ გადაცემა, თხოვება და

¹ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თემატური მოკვლევის [ანგარიში](#)

² საქართველოს მთავრობის დადგენილება #121 სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი, მუხლი 1, მუხლი 2

³ საქართველოს მთავრობის დადგენილება N 308, 2013 წლის 29 ნოემბერი - სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 2, პუნქტი 6.

ა.შ.) დაკავშირებით ასევე ინფორმაცია მოითხოვა ცალკეული მუნიციპალიტეტებიდან.



გუბერნატორების ადმინისტრაციების ავტოპარკი

საქართველოს გუბერნატორების ადმინისტრაციებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2019 წლის იანვრის მდგომარეობით, მათ ბალანსზე სულ ირიცხება **78 ავტომობილი**. სხვადასხვა გუბერნატორის ადმინისტრაციაში ავტომობილების რიცხვი 7-დან 12 მდე მერყეობს.

გუბერნატორების ადმინისტრაციების ავტომობილებიდან 46% წარმოადგენს განპიროვნებულს. კერძოდ, ეს ავტომობილები სამსახურებრივ დროებით სარგებლობაში გადაცემულია კონკრეტულ თანამდებობის პირზე ან ადმინისტრაციის თანამშრომელზე. უმეტეს შემთხვევაში, განპიროვნებული ავტომობილებით სარგებლობენ გუბერნატორები და მათი მოადგილეები. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ავტომობილები განპიროვნებულია ადმინისტრაციის სამსახურის უფროსებზეც და მათ მოადგილეებზე. მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული 8 ავტომობილიდან 7 განპიროვნებულია და ემსახურება: გუბერნატორს, მის ორ მოადგილეს, ორ სამსახურის უფროსს და მათ ორ მოადგილეს. ასევე, 7 ავტომობილია განპიროვნებული ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციაში, რითიც სარგებლობენ გუბერნატორი, მისი სამი მოადგილე, აპარატის და ორი სამსახურის უფროსი.

გუბერნატორების ადმინისტრაციების ავტოპარკის 49% შედგება მაღალი გამავლობის ავტომობილებისგან, რომელთა შორის ჭარბობს Toyota Landcruiser-ის სხვადასხვა მოდელები (Prado, 200, 150); კერძოდ, მათ ბალანსზე აღირიცხება **20** Toyota Landcruiser (Prado, 200, 150), **24** Shkoda Octavia, **6** Mitsubishi Pajero/L200, **5** Toyota Camry/Corola და **23** სხვადასხვა.


გუბერნატორის ადმინისტრაციების ბალანსზე
რიცხული ავტომობილები (იანვარი, 2019)



განპიროვნებული
46%



მალალი
განპიროვნების
49%



ყველა სახელმწიფო გუბერნატორზე განპიროვნებულია Toyota Landcruiser-ის მოდელის ავტომობილი. მათ შორის, ყველაზე ახალი, 2016 წელს გამოშვებული Toyota Landcruiser Prado განპიროვნებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორზე, რომელიც ჩანაცვლების წესით შესყიდულია 2017 წელს. დღეის მდგომარეობით, მისი ნარჩენი ღირებულება შეადგენს 90,404 ლარს.


სახელმწიფო გუბერნატორებზე განპიროვნებული ავტომობილების უმრავლესობა გუბერნატორის ადმინისტრაციებისათვის უსასყიდლოდ არის გადაცემული. მაგალითად, 2014 წელს, ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციას გარდაბნის საკრებულოდან 5 წლის ვადით თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე უსასყიდლოდ გადაეცა 2013 წელს გამოშვებული Toyota Landcruiser Prado. ასევე, შიდა ქართლის გუბერნატორი სარგებლობს გორის მერიის კუთვნილი ავტომობილით Toyota Landcruiser LC-200, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი სარგებლობს მათთვის დროებით სარგებლობაში გადმოცემული Mercedes-Benz G500 მოდელის ავტომობილით. 2012 წელს იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციას უსასყიდლოდ გადაეცა 89,688 ლარის ღირებულების Toyota Landcruiser LC-200, კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციას – 101,500 ლარის ღირებულების Toyota Landcruiser LC-150, რომლებიც ასევე განპიროვნებულია გუბერნატორებზე.

სახელმწიფო გუბერნატორებზე განპიროვნებული ავტომობილების მსგავსად, ადმინისტრაციის სხვა ავტომობილების 73%-ის შემთხვევაში, ეს ავტომობილები არ ყოფილა შეძენილი ადმინისტრაციების ბიუჯეტის ფარგლებში და ისინი უსასყიდლოდ გადმოცემული იქნა სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ. გუბერნატორების ადმინისტრაციებში არსებული პრაქტიკა მნიშვნელოვნად ართულებს ავტოპარკის გამჭვირვალე განკარგვის პროცესს, რაც უმთავრესად განპირობებულია გუბერნატორის ადმინისტრაციებისათვის ძვირადღირებული ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ბუნდოვანი წინაპირობებით.

სახელმწიფო უწყებებისათვის უსასყიდლოდ ან თხოვებით ავტომობილების გადაცემასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევების შესახებ ასევე საუბარია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებში. კერძოდ, აუდიტის სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ 2014 წლის 6


თებერვალს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ რეგულირების მიღმა არის დარჩენილი აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისათვის მსგავსი სახით გადაცემული ავტომობილები. საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ასეთი საკითხების მოწესრიგება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობდა მთლიანად სახელმწიფო სექტორში პრაქტიკის შეცვლას, რაც ასევე აისახებოდა სახელმწიფო გუბერნატორების ადმინისტრაციების ბალანსზე რიცხულ ავტომობილებზე, რომელთა 73% გადმოცემულია უსასყიდლოდ, ხოლო 49% ბალანსზე აყვანილია 2014 წლის შემდეგ.

გუბერნატორებზე განპიროვნებული ავტომობილები					
გუბერნატორი	მოდელი	შესყიდვის/ გადმოცემის წელი	გამოშვების წელი	საწყისი საბალანსო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება
სამეგრელო - ზემო სვანეთის გუბერნატორი	Toyota Landcruiser Prado	2017	2016	-	90,404
ქვემო ქართლის გუბერნატორი	Toyota Landcruiser Prado	2014	2013	-	55,704
იმერეთის გუბერნატორი	Toyota Landcruiser LC-200	2012	2011	89,688	0
კახეთის გუბერნატორი	Toyota Landcruiser LC-150	2012	2012	101500	21,924
მცხეთა- მთიანეთის გუბერნატორი	Toyota Landcruiser LC-200	-	2008	39,573	21,844.3
გურიის გუბერნატორი	Toyota Landcruiser Prado	2009	2008	82,800	30,192.8
სამცხე- ჯავახეთის გუბერნატორი	Toyota Landcruiser LC-150	2010	2010	105,100	0
	Toyota Camry	2010	2010	60,000	0
	Mersedes- Benz G500	ადმინისტრაციას გადმოცემული აქვს დროებით სარგებლობაში			
შიდა ქართლის გუბერნატორი	Toyota Landcruiser LC-200	ადმინისტრაციას თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე გადმოცემული აქვს გორის მერიიდან			
რაჭა- ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორი	Toyota Landcruiser Prado	ავტომობილის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული			



გუბერნატორების ადმინისტრაციების მიერ უსასყიდლოდ მიღებულ ავტომობილებზე (რომლებზეც მოწოდებულია ინფორმაცია ავტომობილის გადმოცემი უწყების შესახებ), ხშირ შემთხვევაში, მითითებულია, რომ ისინი გადმოცემულია მათივე სამოქმედო ტერიტორიაში შემავალი რომელიმე მუნიციპალიტეტიდან. მაგალითად, ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება გარდაბნის საკრებულოდან გადმოცემული 2013 წელს გამოშვებული Toyota Landcruiser Prado ნარჩენი ღირებულებით 55,704 ლარი, რუსთავის მერიიდან გადმოცემული 2014 წელს გამოშვებული Toyota Landcruiser ნარჩენი ღირებულებით 47,392 ლარი და წალკის მერიიდან გადმოცემული 2011 წელს გამოშვებული Hyundai Sonata ნარჩენი ღირებულებით 7,240 ლარი. სანაცვლოდ, გუბერნატორის ადმინისტრაციას ამავე მუნიციპალიტეტებისათვის დროებით გადაცემული აქვს Toyota Hilux (გამოშვების წელი 2004) Opel Vectra (გამოშვების წელი 2006) და Toyota Landcruiser (გამოშვების წელი 2008), რომელთა საერთო ნარჩენი ღირებულება შეადგენს მხოლოდ 988 ლარს.

**ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის ბალანსზე
რიცხული ავტომობილები, რომლებიც უსასყიდლოდ
მიღებულია ან დროებით სარგებლობით გადაცემულია
ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის**



ადგილობრივი თვითმმართველობებიდან გუბერნატორის ადმინისტრაციებისათვის ავტომობილების უსასყიდლოდ გადაცემის არსებული პრაქტიკის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, IDFI-მ შესაბამის უწყებებს მიმართა ავტომობილების გადაცემის საფუძვლების (შესაბამისი მიმოწერის) და გაფორმებული ხელშეკრულებების ასლების მოთხოვნით. მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ძვირადღირებული ავტომობილების გადაცემის საფუძვლებს წარმოადგენს გუბერნატორის ან მისი მოადგილეების გაგზავნილი წერილები, რომლის მიხედვით სამსახურეობრივი საჭიროებისათვის ითხოვენ მუნიციპალიტეტის ბალანსზე შერჩეული კონკრეტული ავტომობილის გარკვეული ვადით გადაცემას.

ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, მუნიციპალიტეტის მიერ ავტომობილის შესყიდვის და მისი გუბერნატორის ადმინისტრაციებისათვის გადაცემის თარიღები მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების გუბერნატორის შეხედულებისამებრ განკარგვაზე მიუთითებს.

მაგალითად, რუსთავის მერიამ 2015 წლის 21 აგვისტოს შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ ინ ქომფანისთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ჩანაცვლების წესით შეისყიდა 71,374 ლარის ღირებულების Toyota Landcruiser, საიდანაც 70,374 ლარი გადახდილია ფულადი სახით, ხოლო დანარჩენი 1,000 ლარი ჩანაცვლდა სხვა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავტომობილით.

იმავე დღეს, გუბერნატორის პირველმა მოადგილემ ქალაქ რუსთავის მერს მიმართა თხოვნით, სამსახურეობრივი საჭიროებისათვის სამი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადაეცათ გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის ეს ავტომობილი.

გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის ადგილობრივი თვითმმართველობებიდან ძვირადღირებული ავტომობილების უსასყიდლოდ გადმოცემა, შესაძლებელია, შეფასდეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ირიბ გამოყენებად, რაც მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება მმართველობის დეცენტრალიზაციის მიზნებს და ეჭვ ქვეშ აყენებს ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხს.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01/77

21 აგვისტო 2015 წელი

ქ. რუსთავი

ერითი მხრივ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (შემკვეთი „შემყიდველი“) წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილის ლიმა ლომჯინაძის სახით და მხარეს (მხრე შპს „ქარ რენო ენდ თრეიდი-ინ ქობულა“ (შემკვეთი „მომწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა რევაზიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის (შპს „ქარ რენო ენდ თრეიდი-ინ ქობულა“) სატენდერო წინადადების საფუძველზე SPA150022266, გასარტიყებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დეტერმინირებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემადგენელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემყიდველსა და მომწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
- 1.2. „ხელშეკრულების დორბელება“ - სერვისი თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემყიდველმა მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზეცხიმოვნით შესრულებისათვის;
- 1.3. „აღდე“, „კერა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კერძო, თვე;
- 1.4. „შემყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.5. „მომწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- 1.6. „მხარე“ - „შემყიდველი“ ან/და „მომწოდებელი“;
- 1.7. „საქმიანობა“ - ხელშეკრულების ძეგ 2 ბუნდოვი გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. 1 ცალი ჯეტიკატორამბორტო საშუალების შესყიდვა (სამსაცულების გზით) (CPV34100000)
- 2.2. „მომწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღჭურვა მოცემული ხელშეკრულებაზე თანდართულ დანართი №1-ში.

3. ხელშეკრულების დორბელება

- 3.1. ხელშეკრულების სერვისი დორბელება შეადგენს 71 374,00 (სამოცდათორისეტი ათას სამას სამოცდათორისეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს;
- 3.2. ეტრისაკუთმამბორტო საშუალების დორბელებას ჩაებალი 70 374,00 (სამოცდათორისეტი ათას სამას სამოცდათორისეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი შემყიდველის მიერ ანაზღაურდება უნადგრო ანგარიშსწორების გზით, ხოლო დორბეტილი ანაზღაურებული დორბელების ნაწილის 1 000,00 (ერთი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარის სანაცვლოდ მომწოდებელს გადაეცემა ჩასანაცვლებელი ჯეტიკატორამბორტო საშუალება (ვინ კოდი - 4JGAB54B8XA057919)
- 3.3. ხელშეკრულების სერვისი დორბელება მოიცავს „მომწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კონსტიტუციის გათვალისწინებულ გადასახადებს;

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები



საქართველოს ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში
ბოლნისის, ბარჯანის, დგანისის, თათრისწყაროს, ნარნეულის, ნაღბისა და პალაქ რუსთავის
მუნიციპალიტეტებში სახალხო მრეწველობის - შუამდგომლობის ადმინისტრაცია

N 01/2844
21/08/2015

2844-01-2-201508211700



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით ჯიქიას

ბატონო დავით,

გთხოვთ, სამსახურეობრივი საჭიროებისათვის სამი წლის ვადით
სარგებლობის უფლებით გადმოგვეთ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული 2014 წელს გამოშვებული ავტომანქანა ტოიოტა
ლენდკრუიზერი, სახელმწიფო ნომრით LG872GL.

პატივისცემით,

კახაბერ გუგუშვილი

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის პირველი მოადგილე

ხელმძღვანელობა

ხელშეკრულება № 237

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

24 ივლისი 2013 წ.

ერთის მხრივ, გარდასმის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - "შემსყიდველი"), წარმოდგენილი საკრებულოს
თავჯდომარის ზაზა ონიანის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „ქარ რენტ ენდ თრეი-ინ ქომფანი“ (შემდეგ -
"მიწოდებელი") წარმომადგენელი დირექტორი, მამუკა რევაზიშვილის სახით, „სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად
ედებო წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგნაირად:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "მიწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას, ჩაიბაროს
"შემსყიდველის" კუთვნილი დანართი №1-ით გათვალისწინებული 1 (ერთი) ერთეული ავტოსატრანსპორტო
საშუალება(CPV 34100000, შემდგომში - "საქონელი") და სანაცვლოდ მიიწოდოს "შემსყიდველს" დანართი
№1-ით გათვალისწინებული ახალი, გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე 1 (ერთი) ერთეული
ავტოსატრანსპორტო საშუალება (შემდგომში "საქონელი"), ხოლო "შემსყიდველი" ვალდებულია მიიღოს
საქონელი და გადაიხადოს ავტომანქანის ჩანაცვლების შედეგად წარმოქმნილი ფასით სხვაობა.

1.2.ჩანაცვლებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დეტალური აღწერა და ღირებულება
განისაზღვრება
დანართი №1-ის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1.შესყიდვის ობიექტის მთლიანი ღირებულება 48700 (ორმოცდარვა ათას შეიდასი) აშშ დოლარი.
2.2.გადასაცემი ობიექტის მთლიანი ღირებულება 1200 (ერთი ათასორასი) ლარი.
2.3.შესყიდვის ობიექტის მთლიანი ღირებულება (ფასით სხვაობა) დადგინდება "მიწოდებლის" მიერ
ჩისწოდებელი საქონლის ღირებულებას 48700 (ორმოცდარვა ათას შეიდასი) აშშ დოლარი და
"შემსყიდველის" მიერ გადასაცემი საქონლის ღირებულებას 1200 (ერთი ათასორასი) ლარს შორის
წარმოქმნილ ფასით სხვაობის მიხედვით, რომელიც დადგინდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების დღეს
ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.



საქართველოს ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში
ბოლნისის, ბარჯანის, დგანისის, თათრისწყაროს, ნარნეულის, ნაღბისა და პალაქ რუსთავის
მუნიციპალიტეტებში სახალხო მრეწველობის - შუამდგომლობის ადმინისტრაცია
სახალხო მრეწველობის - შუამდგომლობის ადმინისტრაცია
№ 985-13-06 2013.



გარდასმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ზაზა ონიანს

ბატონი ზაზა,
სამსახურეობრივი საჭიროებისათვის გამოიმდგომე გთხოვთ, გადმოგვით
თქვენს საკუთრებაში არსებული ავტომანქანა TOYOTA LAND CRUISER PRADO
LC150 (სას. ნომრით GNG 877) სხუი წლის ვადით.

პატივისცემით,

ბიძინა მდინაძე


სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის
პირველი მოადგილე
საქართველო
№ 98/11



გუბერნატორების ადმინისტრაციების საწვავის მოხმარების ხარჯები

საქართველოს 9 სახელმწიფო გუბერნატორის ადმინისტრაციაში საწვავი გაიცემა გუბერნატორების განკარგულების საფუძველზე დამტკიცებული ყოველთვიური ლიმიტების ფარგლებში. მიღებული მონაცემების მიხედვით, 2018 წელს მათ მიერ საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯი 534,015 ლარს შეადგენს, რაც 52,430 ლარით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს (481,585 ლარი). 2017-2018 წლებში ყველაზე მეტ საწვავს მოიხმარდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის, კახეთის და იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციები.

გუბერნატორის ადმინისტრაციები საწვავის მოხმარების ხარჯები 2017-2018 წლები



კვლევის ფარგლებში, 2017-2018 წლებში სახელმწიფო გუბერნატორებზე გაცემული საწვავის ოდენობის და მათზე დაწესებული ყოველთვიური ლიმიტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მოწოდებულია 7 გუბერნატორის ადმინისტრაციიდან. კერძოდ: აჭხეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, რაჭა ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის გუბერნატორების ადმინისტრაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გუბერნატორის მიერ საწვავის ყოველთვიურ მოხმარებაზე დაწესებული ლიმიტები 2017-2018 წლებში 700-დან 1,500 ლიტრამდე მერყეობდა.


ამ 7 გუბერნატორის მიერ, მათ მიერვე დადგენილი ყოველთვიური ლიმიტების ფარგლებში, 2017-2018 წლებში სულ დახარჯულია **132,208 ლიტრი საწვავი**; ყველაზე მეტი საწვავი 2017-2018 წლებში მოხმარებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მიერ **25,660 ლიტრი**, საიდანაც 2017 წელს გახარჯულია 14,356 ლიტრი ბენზინი, ხოლო 2018 წელს – 11,304 ლიტრი.

აჭხეთის, მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორები 2017-2018 წლებში ყოველწლიურად დაახლოებით თანაბარი ოდენობის საწვავს მოიხმარდნენ, რაც 10,000 ლიტრის ფარგლებში მერყეობდა.

შიდა ქართლის გუბერნატორის მიერ 2017 ათვისებულია 7,512 ლიტრი დიზელი. 2018 წლის 27 აპრილს შიდა ქართლის გუბერნატორს თავისივე განკარგულებით დიზელის მოხმარების 800 ლიტრიანი ლიმიტი გაეზარდა 1,000 ლიტრამდე, შედეგად, 2018 წელს გუბერნატორის მიერ 754 ლიტრით უფრო მეტი საწვავი იქნა გახარჯული.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორზე 2017 წელს გაიცა 7,832 ლიტრი საწვავი, ხოლო 2018 წელს – 7,741 ლიტრი. გუბერნატორზე დადგენილი ყოველთვიური ლიმიტების შესახებ ინფორმაცია IDFI-ის არ მიეწოდა, შესაბამისად, რამდენად თანხვედრაშია საწვავის ხარჯები დადგენილ შეზღუდვებთან IDFI-ისთვის უცნობია.

7 გუბერნატორს შორის საწვავის მოხმარების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ქვემო ქართლის გუბერნატორზე ფიქსირდება: 2017 წელს – 6,166 ლიტრი, ხოლო 2018 წელს – 6,839 ლიტრი. 2018 წლის ოქტომბრამდე ქვემო ქართლის გუბერნატორზე საწვავის მოხმარების ყოველთვიური ლიმიტი შეადგენდა 700 ლიტრ ბენზინს. 2018 წლის 17 ოქტომბრის გუბერნატორის განკარგულებით ლიმიტი გაიზარდა 900 ლიტრამდე, შესაბამისად, მომდევნო წლებში ქვემო ქართლის გუბერნატორის მიერ ათვისებული საწვავის მოცულობის ზრდა არის მოსალოდნელი.



გუბერნატორებზე გაცემული საწვავი				
გუბერნატორი	მოდელი	ყოველთვიური ლიმიტი	მოხმარებული საწვავი (ლიტრი)	
			2017	2018
კახეთი	Toyota Landcruiser LC-150	1,000	10,685	10,375
მცხეთა-მთიანეთი	Toyota Landcruiser LC-200	900	10,459	10,082
სამეგრელო - ზემო სვანეთი	Toyota Landcruiser Prado	1,500	14,356	11,304
სამცხე- ჯავახეთი	Toyota Landcruiser LC-150	0	10,107	10,484
	Toyota Camry	200		
	MERSEDES-Benz G500	1,000		
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	Toyota Landcruiser Prado	-	7,832	7,741
შიდა ქართლი	Toyota Landcruiser LC-200	800/1,000	7,512	8,266
ქვემო ქართლი	Toyota Landcruiser Prado	700/900	6,166	6,839
გურია	Toyota Landcruiser Prado	800	21,175 ლარი	25,671 ლარი

გურიის გუბერნატორის შემთხვევაში, მოწოდებულია არა ათვისებული საწვავის მოცულობის, არამედ მათ შეძენაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, როგორც ირკვევა, 2017 წელს გურიის გუბერნატორებმა დახარჯეს 21,175 ლარის ღირებულების, ხოლო 2018 წელს – 25,671 ლარის ღირებულების საწვავი. გურიის გუბერნატორის 2018 წლის 23 იანვრის განკარგულების მიხედვით, მისი ყოველთვიური საწვავის მოხმარების ლიმიტი 2018 წელს განსაზღვრული იყო 800 ლიტრის ოდენობით, (წლიური 9,600 ლიტრი). იმ შემთხვევაში, თუ გუბერნატორის საწვავის ხარჯი შეესაბამებოდა დაწესებულ ლიმიტებს, 1 ლიტრ ბენზინში საშუალოდ გადახდილი უნდა იყოს 2.65 ლარი. აღნიშნული ფასი მნიშვნელოვნად აღემატება 2018 წელს შესყიდული საწვავის საბაზრო ფასს. მაგალითად, სამცხე ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ 2018 წელს შესყიდულ მსგავსი ტიპის საწვავში საშუალოდ გადახდილია 1 ლიტრი – 2.16 ლარი. ფასის ამ განაკვეთის პირობებში გურიის გუბერნატორის ადმინისტრაცია 2018 წელს 25,671 ლარად შეისყიდიდა 11,884 ლიტრ ბენზინს, რაც დაახლოებით 2,300 ლიტრით აღემატება დადგენილ ლიმიტს. ამ მოცემულობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **2018 წელს გურიის გუბერნატორებზე გაცემული საწვავის ოდენობა არ არის შესაბამისობაში მათ მიერვე სამართლებრივი აქტით დადგენილ ნორმასთან.**

2017-2018 წლებში გახარჯული საწვავის მდგომარეობის შესახებ.

დასახელება		ავტომანქანის მარკა	საწვავის მარკა	2017 წელში გახარჯული საწვავი(ლარში)	2018 წელში გახარჯული საწვავი(ლარში)
სალუქვაზე გია	სახელმწიფო გუბერნატორი	II-707-LL	Premium Efix	16282	
ჭანუყვაზე მერაბ	სახელმწიფო გუბერნატორი	II-707-LL		4893	19511
ნასარაია ზურაბ	სახელმწიფო რწმუნებული	II-707-LL			6160

გურიის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაცია 2017-2018 წლებში გურიის გუბერნატორების მიერ მოხმარებულ საწვავზე გაწეული ხარჯების შესახებ.

2017-2018 წლებში სახელმწიფო გუბერნატორების მიერ საწვავის რაციონალურ მოხმარებას მნიშვნელოვნად ეჭვქვეშ აყენებს ადმინისტრაციებიდან მიღებული მონაცემები, რომელიც გუბერნატორებზე განპიროვნებული ავტომობილების გავლილი მანძილის კილომეტრაჟს ასახავს. კერძოდ, 7 გუბერნატორის⁴ მიერ 2017-2018 წლებში დაფარულია 750 ათასი კილომეტრი. მიღებული მონაცემების მიხედვით, გუბერნატორები 2017 წელს საშუალოდ 52.5 ათას კილომეტრს ფარავდნენ, ხოლო 2018 წელს 54.7 ათას კილომეტრს. 2017 წელს ყველაზე მეტი კილომეტრაჟი აღრიცხულია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ავტომობილზე 68 ათასი კილომეტრი, ხოლო ყველაზე ცოტა ქვემო ქართლის – 39 ათასი კილომეტრი. 2018 წელს ყველაზე დიდი მანძილი დაფარა სამცხე ჯავახეთის გუბერნატორის ავტომობილმა 67.6 ათასი კილომეტრი, ხოლო ყველაზე მცირე ქვემო ქართლის – 44.6 ათასი კილომეტრი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკვატორის სიგრძე 40 ათასი კილომეტრია, თითოეული გუბერნატორის მიერ 2017-2018 წლებში გავლილი მანძილი მინიმუმ დედამიწის გარშემო ორჯერ შემოვლის ტოლია. სამეგრელო-ზემო სვანეთის და სამცხე ჯავახეთის გუბერნატორზე განპიროვნებულმა ავტომობილების მიერ განვლილი მანძილის მიხედვით, ბოლო ორი წლის განმავლობაში მათ დაახლოებით სამჯერ შემოუარეს დედამიწას.

2017-2018 წლებში გუბერნატორებზე განპიროვნებული ავტომობილები, საშუალოდ, ყოველდღიურად არასამუშაო დღეების ჩათვლით, დაახლოებით 150 კილომეტრს ფარავდნენ. მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი 2017 წელს ყოველდღიურად საშუალოდ 186 კილომეტრს გადიოდა, ხოლო 2018 წელს – 178 კილომეტრს. სამცხე ჯავახეთის გუბერნატორი 2017 წელს

⁴ იმერეთის და გურიის გუბერნატორის ადმინისტრაციების მიერ მსგავსი მონაცემები არ იქნა მოწოდებული

ყოველდღიურად საშუალოდ - 161 კილომეტრს, ხოლო 2018 წელს 185 კილომეტრს ფარავდა.


მხოლოდ სამუშაო დღეების დაანგარიშებით, გუბერნატორზე განპიროვნებული ავტომობილები 2017-2018 წლებში ყოველდღიურად საშუალოდ დაახლოებით 215 კილომეტრს ფარავდნენ.

გუბერნატორის ადმინისტრაციებიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, გუბერნატორებზე განპიროვნებული ავტომობილების 100 კმ-ზე საშუალო წვის მაჩვენებელი 15 ლიტრიდან 19.83 ლიტრამდე მერყეობდა. 100 კმ-ზე საშუალო წვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (15 ლიტრი) აქვს შიდა ქართლის გუბერნატორზე განპიროვნებულ ავტომობილს, რომელიც მოიხმარს დიზელის საწვავს. ყველაზე მეტ საწვავს - 19.83 ლიტრი ბენზინი 100 კმ-ზე - მოიხმარდა კახეთის გუბერნატორზე განპიროვნებული 2012 წელს გამოშვებული Toyota Landcruiser LC-150.

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის შემთხვევაში, მსგავსი მაჩვენებელი არ იქნა მოწოდებული. მათი განმარტებით, 2017-2018 წლებში გუბერნატორი ე.წ. ჩიპთან ერთად ასევე იყენებდა საწვავის ელექტრონულ ბარათს. ელექტრონული ბარათი არ არის გათვალისწინებული კონკრეტული ავტომანქანისთვის და მისი გამოყენება შესაძლებელია ადმინისტრაციის სარგებლობაში არსებულ სხვა ავტომანქანაზეც. ვინაიდან გუბერნატორი პერიოდულად გადაადგილდებოდა ადმინისტრაციის სხვა ავტომანქანითაც, ვერ მოხერხდა იმის დადგენა, გუბერნატორმა რომელ ავტომობილზე რამდენი საწვავი მოიხმარა და, შესაბამისად, რამდენი იყო მასზე განპიროვნებული ავტომობილის საშუალო წვის მაჩვენებელი. ადმინისტრაციის ამ განმარტების შესაბამისად, 2017-2018 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს მასზე განპიროვნებული ავტომობილის მიერ დაფარული 133,000 კილომეტრის გარდა, ადმინისტრაციის სხვა ავტომობილებით დაფარული აქვს გარკვეული მანძილი.


გუბერნატორებზე განპიროვნებული ავტომობილების დაფარული კილომეტრაჟი

■ 2017 ■ 2018



გუბერნატორებზე განპიროვნებული ავტომობილების საშუალოდ დღეში დაფარული კილომეტრაჟი

■ 2017 ■ 2018



2017-2018 წლებში გუბერნატორების მიერ გავლილი მანძილი

გუბერნატორი	2017				2018			
	საშუალო წვა 100 კმ-ზე (ლ)	ზარჯი (ლიტრი)	მანძილი (კმ)	დღეში გავლილი მანძილი საშუალოდ	საშუალო წვა 100 კმ-ზე (ლ)	ზარჯი (ლიტრი)	მანძილი (კმ)	დღეში გავლილი მანძილი საშუალოდ
კახეთი	19.65	10,685	53,400	146	19.83	10,375	52,300	143
მცხეთა-მთიანეთი	19.68	10,459	53,434	146	19.45	10,082	53,305	146
სამეგრელო - ზემო სვანეთი	X	14,356	68,000	186	X	11,304	65,000	178
სამცხე-ჯავახეთი	18.7	10,107	59,046	161	16.5	10,484	67,575	185
ქვემო ქართლი	16.95	6,166	39,020	106	17,11	6,839	44,550	122
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	17.5-18	7,832	44,500	121	17.5-18	7,741	45,000	123
შიდა ქართლი	15	7, 512	50,080	137	15	8,266	55,107	150

გუბერნატორებზე განპიროვნებულ ავტომობილებზე საწვავის მოხმარების და განვლილი მანძილის მაღალი მაჩვენებლების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად შესაძლებელია განხილულ იქნას კონტროლის არასათანადო მექანიზმები. გუბერნატორის ადმინისტრაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2017-2018 წლებში ლიმიტის ფარგლებში გამოყოფილი საწვავი ავტომანქანებში ნაწილდებოდა „აგაი სისტემის“ (ე.წ. ჩიპები) მეშვეობით, რომელიც რეგულირდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის პირობებით. მიუხედავად ამ რეგულაციებისა, ცალკეულ გუბერნატორის ადმინისტრაციებში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც საწვავი ე.წ ჩიპების გარდა ნაწილდება სხვა მეთოდითაც. მაგალითად, სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნატორზე საწვავი გაიცემოდა როგორც ჩიპის ასევე ელექტრონული ბარათის საშუალებით. სამცხე ჯავახეთის გუბერნატორის განკარგულებით, ავტომობილებზე საწვავი ყოველთვიურად გაიცემა დარიცხვის ან/და საწვავის ტალონის გაცემის მეთოდით.

8) დაევალოს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატს, ამ განკარგულებით განსაზღვრული ავტომობილების ყოველთვიურად საწვავით უზრუნველყოფა (საწვავის დარიცხვა ან/და საწვავის ტალონის გადაცემა);

ამონარიდი სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის განკარგულებიდან, რომლის მიხედვით დაწესებულია საწვავის ყოველთვიური ლიმიტები

შეჯამება

საქართველოს სახელმწიფო გუბერნატორების ადმინისტრაციების ავტოპარკის ანალიზმა ნათლად აჩვენა მის რაციონალურ განკარგვასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები. კერძოდ, გუბერნატორების ადმინისტრაციების ბიუროკრატიული აპარატის ავტოპარკის მასშტაბი, არაეკონომიური მაღალი გამავლობის და ძვირადღირებული მოდელების მაჩვენებლები, და საწვავის მოხმარების არსებული მაჩვენებლები ცალსახად ოპტიმიზაციის და კონტროლის მექანიზმების გამკაცრების აუცილებლობაზე მიუთითებს.

გუბერნატორების ადმინისტრაციის ავტოპარკის განკარგვის გამჭვირვალობისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად შეიძლება შეფასდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ და თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემის არსებული პრაქტიკა. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიაზე შემავალი მუნიციპალიტეტების მიერ ძვირადღირებული ავტომობილების უსასყიდლოდ გადმოცემა აჩენს კითხვებს მუნიციპალური ქონების მიზნობრივად განკარგვასთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგება მმართველობის დეცენტრალიზაციის მიზნებს და ეჭვ ქვეშ აყენებს ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხს.

გუბერნატორების მიერ ავტოპარკის განკარგვის პრაქტიკა კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფო ავტოპარკის ცენტრალიზებული სერვისის ჩამოყალიბების საკითხის განხილვის აუცილებლობაზე, რომლის მართვაში მოექცევა ყველა, მათ შორის გუბერნატორის ადმინისტრაციების ბალანსზე არსებული სახელმწიფო ავტომანქანა.

2017-2018 წლებში სახელმწიფო გუბერნატორების მაგალითზე განხილული საწვავის მოხმარების პრაქტიკა, რაც გამოიხატება ცალკეულ შემთხვევებში არაგონივრულად მაღალი ოდენობის საწვავის ათვისებაში, ცალსახად მიუთითებს კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების აუცილებლობაზე. კერძოდ, მიზანშეწონილია, შესაბამისი ტექნოლოგიური სისტემის დახერგვით გამკაცრდეს სამსახურებრივი ავტომობილებით არამიზნობრივი გადაადგილების მონიტორინგი და ყველა ავტომობილზე დაინერგოს საწვავის მოხმარების აღრიცხვის სისტემა - ე.წ. ჩიპი.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ა. გრიბოედოვის ქ. №3 • თბილისი 0108 • საქართველო

ტელ: + 995 32 2 92 15 14 • ელ-ფოსტა: info@idfi.ge

WWW.IDFI.GE